

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო ჯანელიძეს
სოფელ თუზის მაჟორიტარი დეპუტატის
კახაბერ მეგრელიშვილის

20.11.2017-15.05.2018 წლებში გაწეული საქმიანობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ ჩემი საკრებულოს წევრობის არჩევის დღიდან დღემდე ყოველდღიურ რეჟიმში მიწევს ჩემი სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრა. მოსახლეობასთან ერთად აქტიურად განვიხილავთ სოფლის პრობლემების გადაჭრის გზებს, ვატარებ შეხვედრებს სხვადასხვა უბნებში, ვეცნობი პრობლემებს და აქტიურად ვმუშაობ მათი აღმოფხვრის გზებზე.

ამ ექვსი თვის განმავლობაში სამწუხაროდ ჩემს სოფელში მნიშვნელოვანი ბევრი რამის გაკეთება არ მოხერხდა სხვადასხვა მიზეზების გამო, თუმცა გარკვეული სამუშაოები ჩავატარეთ:

1. დავიწყეთ მოსახლეობის გაზიფიკაცია იმ უბნებზე, სადაც მოსახლეობა დარჩენილი იყო გაზის გარეშე;
2. თავასის უბანში შევარემოვეტეთ ომში დაღუპულთა მემორიალი;
3. ერთ-ერთი უბნის ეკლესიაზე შევაკეთეთ მისასვლელი გზა, დავყარეთ ოთხი მანქანა ხრეში.
4. ვარდიგორასა და კაკაბოურის უბანზე შევიტანეთ ორ-ორი მანქანა მდინარის ხრეში.

რაც შეეხება მოთხოვნებს, რომელიც წაყენებული გვაქვს მერიასთან და შესაბამის სამსახურებთან, ვიმედოვნებთ მალე შევა აქტიურ ფაზაში.

კერძოდ, სოფლის მოსახლეობას აინტერესებს ცენტრალური გზის გაკეთების თაობაზე ინფორმაცია, უკვე წლებია მიდის საუბარი ამ გზის შეკეთებაზე, მაგრამ დღემდე არ დაწყია არანაირი სამუშაოები. მოსახლეობა უარყოფითადაა განწყობილი, ელიან პასუხს. სავალალო მდგომარეობაშია სოფლის თითქმის ყველა საუბნო გზა.

აგრეთვე მოსახლეობა ითხოვს წყლის პრობლემის მოგვარებას. თუ შესაძლებელია არტეზიული ჭაბურღილების მოწყობა, მოთხოვნები აქვთ მიწებზე, ავზებზე და მათ მოწყობაზე.

სოფელში დასამატებელია ნაგვის ურნები.

მოგახსენებთ სოფ. თუზში რთული რელიეფის გამო მოსახლეობა საკმაო მანძილითაა მოშორებული სოფლის ცენტრს, რის გამოც ცუდ ამინდებში მოსახლეობას სამარშუტო ტაქსების სარგებლობისათვის ესაჭიროებათ მოსაცდელეები, ამიტომ ვარდიგორაში, თავასასა და ვარდიულზე, მოსახლეობა ითხოვს ეგრეთწოდებული საცდელეების მოწყობას.

კაკაბოურის უბანზე არ არსებობს ეკლესიაზე მისასვლელი გზა, ითხოვენ გზის შეკეთებას.

სოფლის მოსახლეობას გავუწიეთ დახმარება სხვადასხვა სოციალური პროგრამების ფარგლებში: ერთჯერადი ფინანსური დახმარება გავუწიეთ -31, სურსათით-8, მედიკამენტებით-5, თანადაფინანსება-22 მოქალაქეს.

რაც შეეხება მე. სოფელ თუზის მაჟორიტარს, აქტიურად ვარ ჩართული საკრებულოს მუშაობაში, კერძოდ აქტიურად ვმონაწილეობ კომისიებისა და ფრაქციის მუშაობაში.

